საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №19/ნ
2023 წლის 17 მარტი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 8 ნოემბრის №119/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 8 ნოემბრის №119/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 08/11/2022, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.018226) მეორე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანების პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

ბ) მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

გ) მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2026 წლის 15 სექტემბრიდან;

დ) მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების და არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

ე) მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების და არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების V და VI კლასებისთვის ამოქმედდეს 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

ვ) მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების III და IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების III და IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2025 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2026 წლის 15 სექტემბრიდან;

ზ) მე-7 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2026 წლის 15 სექტემბრიდან;

თ) მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I და II კლასებისთვის

ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I და II კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან, III და IV კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან და V და VI კლასებისთვის 2026 წლის 15 სექტემბრიდან;

ი) მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I-IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, V და VI კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I-IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან, V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

კ) მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტი ქართულენოვანი სკოლების I-IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2023 წლის 15 სექტემბრიდან, V და VI კლასებისთვის 2024 წლის 15 სექტემბრიდან, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I-IV კლასებისთვის ამოქმედდეს 2024 წლის 15 სექტემბრიდან, V და VI კლასებისთვის 2025 წლის 15 სექტემბრიდან;

ლ) პირველი – მე-10 პუნქტები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფირების გამოცხადების მიზნებისთვის, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-11 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 15 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**